

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის

ბრძანება №458

22.08.2016 წ.

ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის საპილოტე პროგრამის იმპლემენტაციისათვის საჭირო ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის სრულფასოვნად და ეფექტიანად დანერგვის უზრუნველსაყოფად, ქვეყანაში მომხდარი სამართალდარღვევების ტენდენციების, მეთოდების, მათში მონაწილე პირთა შესწავლისა და ფუნდამენტური ანალიზის, საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვის სფეროში არსებული რისკებისა და საფრთხეების შეფასების მიზნით, 2016 წლის 1 ოქტომბრიდან 2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით განხორციელდეს ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის საპილოტე პროგრამა (შემდგომში – პროგრამა) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის იმ სტრუქტურულ ერთეულებში, რომელთა სამოქმედო ტერიტორიაც ემთხვევა ამ პუნქტის „ა“-„გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული სამმართველოების სამოქმედო ტერიტორიას, ასევე სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების

შემდეგ სამმართველოებსა და მათში შემავალ განყოფილებებში (შემდგომში – საპილოტე დანაყოფი):

ა) ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველო;

ბ) ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის ქ. რუსთავის საქალაქო სამმართველო;

გ) შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის გორის რაიონული სამმართველო.

2. პროგრამის მიმდინარეობისას საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს მიერ სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტთან თანამშრომლობით სატესტო რეჟიმში უზრუნველყოფილ იქნეს ინციდენტების აღრიცხვის ინფორმაციული სისტემის – „ePolice“-ის (შემდგომში – „ePolice“) ფუნქციონირება, დახვეწა და განვითარება. „ePolice“-ის მეშვეობით განხორციელდეს საპილოტე დანაყოფის სამოქმედო ტერიტორიაზე მომხდარი ინციდენტის შესახებ ინფორმაციის სრულყოფილად დაფიქსირება და რეალურ დროში ასახვა ინციდენტის სახეობის, ადგილის, მასში მონაწილე პირებისა და სხვა აუცილებელი გარემოებების მითითებით. „ePolice“-ში შეყვანილი და დამუშავებული მონაცემები წარმოადგენს შიდა უწყებრივ ინფორმაციას, რომლის გამოყენებაც დასაშვებია მხოლოდ სამსახურებრივი მიზნებისთვის. დაუშვებელია სამინისტროს მოსამსახურის გარდა სხვა პირის, მათ შორის ნებისმიერი სხვა საჯარო დაწესებულების, წვდომა „ePolice“-ის გამოყენებით დამუშავებულ ინფორმაციაზე. „ePolice“-ს არ აქვს საგამოძიებო საქმისწარმოების დანიშნულება. მისი მიზანია ინციდენტის შესახებ შეტყობინების მიღება და მიღებული ინფორმაციის რეალურ დროში ასახვა.

3. სამინისტროს სისტემაში ინფორმაციის სწრაფი და დროული გაცვლისა და საპოლიციო საქმიანობის შესახებ სტატისტიკური და ანალიტიკური მონაცემებით სამინისტროს მოსამსახურეთა

უზრუნველყოფის მიზნით პროგრამის მიმდინარეობისას დაიწყო ანალიტიკური კომპიუტერული პროგრამის გამოყენება, რომელიც უზრუნველყოფს შეგროვებული ინფორმაციის მოთხოვნის შესაბამისად დახარისხებას (პერიოდის, ადგილის, სქესის, მოქალაქეობის, სამართალდარღვევის სახეობის და სხვა გარემოებების მიხედვით) და ანალიზს, კერძოდ, შესაბამისი სტატისტიკური დიაგრამების აგებასა და სპეციალური ალგორითმების შესაბამისად წინასწარი შეტყობინებების სისტემის განვითარებას.

4. საპილოტე დანაყოფს სამოქმედო ტერიტორიის სიდიდის, მოსახლეობის რაოდენობის, დანაშაულის სტატისტიკური მონაცემების, ინციდენტების რაოდენობისა და ხასიათის გათვალისწინებით გადაეცეს "ePolice"-ში ჩართული პორტატული პლანშეტური კომპიუტერები.

5. საპილოტე დანაყოფის მოსამსახურემ შესაბამისი ტექნიკური საშუალების გამოყენებით „ePolice“-ში რეალურ დროში ელექტრონულად უნდა დააფიქსიროს მომხდარი ინციდენტის თაობაზე არსებული ინფორმაცია. თუ ინციდენტის ხასიათიდან გამომდინარე (მაგალითად, ინციდენტი მოხდა ხალხმრავალ ადგილზე, ხდება პირის დაკავება, საჭიროა რამდენიმე პირის გამოკითხვა, მეტეოროლოგიური თუ სხვა პირობებიდან გამომდინარე შეუძლებელია ადგილზე შესაბამისი ტექნიკური საშუალებით მუშაობა და ა.შ.) რეალურ დროში შეუძლებელია „ePolice“-ში მონაცემების ასახვა, მოსამსახურე ვალდებულია, დაუყოვნებლივ დააფიქსიროს ინციდენტის ტიპი და ადგილი „ePolice“-ში ინტეგრირებულ სპეციალურ ელექტრონულ რუკაზე, ხოლო სხვა ინფორმაცია შეიყვანოს არა უგვიანეს იმ სამუშაო დღის დასრულებამდე, როდესაც მიიღო შეტყობინება ინციდენტის შესახებ.

6. საპილოტე დანაყოფის ხელმძღვანელმა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 9 აგვისტოს №432 ბრძანებით შექმნილ სამუშაო ჯგუფთან (შემდგომში – სამუშაო ჯგუფი) შეთანხმებით, სამოქმედო ტერიტორიის სიდიდის, მოსახლეობის რაოდენობის, დანაშაულის სტატისტიკური მონაცემების, ინციდენტების

რაოდენობისა და ხასიათის გათვალისწინებით, აგრეთვე სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტთან კონსულტაციის საფუძველზე უზრუნველყოს საპილოტე პროგრამის მიმდინარეობისას ანალიტიკოსის ფუნქცია-მოვალეობათა შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით მოსამსახურეთა სამსახურში მიღება ან/და ამავე ვადით აღნიშნულ ფუნქცია-მოვალეობათა შესრულების დაკისრება საპილოტე დანაყოფის მოსამსახურისათვის (შემდგომში – ანალიტიკოსი). საპილოტე დანაყოფის მთავარი სამმართველოს/სამმართველოს იმ სტრუქტურულ ერთეულში, რომელშიც არ იქნება შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული ან დანიშნული ანალიტიკოსი, გამოყოფილ იქნეს მოსამსახურე საპილოტე დანაყოფის მთავარი სამმართველოს/სამმართველოს ანალიტიკოსისათვის საჭირო ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფის მიზნით.

7. ანალიტიკოსს დაევალოს:

ა) სამართალდამრღვევი პირების იდენტიფიცირებისა და დანაშაულის წინააღმდეგ სისტემური ბრძოლის მიზნით ყოველდღიურ რეჟიმში საპილოტე დანაყოფის სამოქმედო ტერიტორიაზე სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის დამუშავება, საფრთხეებისა და რისკების შეფასება, ანალიზი და ანალიზის შედეგად გამოტანილი დასკვნების საფუძველზე ანგარიშების მომზადება და რეკომენდაციების შემუშავება;

ბ) პრევენციული საპოლიციო ღონისძიებების დაგეგმვის მიზნით შესაბამისი უფლებამოსილი პირებისათვის საპილოტე დანაყოფის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული ვითარების საერთო სურათისა და საპილოტე დანაყოფის პროფილის შექმნა მომხდარი სამართალდარღვევების სახეობის, მათი მატება-კლების ტენდენციის მიხედვითა და სოციალურ-დემოგრაფიული მდგომარეობის ანალიზის შესაბამისად;

გ) ანალიზზე დაფუძნებული პრევენციული საპოლიციო საქმიანობის პროცესში სამინისტროს რესურსების ეფექტიანად გამოყენების მიზნით საპილოტე დანაყოფის პრობლემის იდენტიფიცირება, პრობლემის გადაწყვეტის სტრატეგიისა და რესურსების

პრიორიტეტების მიხედვით განაწილების შესახებ რეკომენდაციების შემუშავება;

დ) კონკრეტულ შემთხვევებთან მიმართებაში შედეგებზე ორიენტირებული ტაქტიკის მკაფიოდ განსაზღვრა და ეფექტიანი ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობისა და საგამოძიებო მოქმედებების დაგეგმვასა და განხორციელებაში საპილოტე დანაყოფისათვის დახმარების გაწევა.

ე) როგორც საპოლიციო მოქმედების განხორციელებისას, ასევე შემდგომში საპილოტე დანაყოფის პოლიციელთათვის სხვადასხვა ინფორმაციის მოპოვებაში დახმარება და მათთვის კონკრეტულ საქმეებთან დაკავშირებით რეკომენდაციების მომზადება.

8. ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის განხორციელებისას ანალიტიკოსს უფლება აქვს:

ა) მონაცემების შეგროვების მიზნით მიიღოს ინფორმაცია ღია წყაროებიდან, ასევე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ფარული წყაროებიდან;

ბ) სრულყოფილი ინფორმაციის მიღების მიზნით გამოკითხოს საპილოტე დანაყოფის მოსამსახურეები და შეაგროვოს შესაბამისი მონაცემები;

გ) ინფორმაციის დამუშავებისა და შეგროვების პროცესში ჰქონდეს პირდაპირი წვდომა სამინისტროს სისტემაში არსებულ ანალიტიკურ რესურსებზე, ასევე მონაცემთა ბაზებზე, შემოსულ განცხადებებზე/საჩივრებზე, ელექტრონულ ფაილებსა და სამინისტროს სისტემაში დაცულ სხვა მონაცემებზე;

დ) ჩაერთოს როგორც საპილოტე დანაყოფის ყოველდღიურ საქმიანობაში, ასევე სამომავლო საქმიანობის დაგეგმვის პროცესში, მათ შორის დაესწროს საპილოტე დანაყოფის თათბირებს;

ე) პრობლემის ირგვლივ სრული სურათის შექმნის მიზნით გაუზიაროს ინფორმაცია სხვა საპილოტე დანაყოფში მომუშავე ანალიტიკოსს ან/და მიიღოს მისგან საჭირო მონაცემები.

9. ანალიტიკოსი, საპილოტე დანაყოფის ამოცანებიდან გამომდინარე, ამზადებს ტაქტიკური ან/და სტრატეგიული შეფასების ანგარიშს. ამ მიზნით იგი უფლებამოსილია, გამოიყენოს სხვადასხვა ანალიტიკური ტექნიკა, როგორცაა დანაშაულის მოდელის ანალიზი, ცხელი წერტილების იდენტიფიცირება, ინციდენტის ტენდენციების იდენტიფიცირება, სერიული ინციდენტებისა და დანაშაულის იდენტიფიცირება, საერთო პროფილის ანალიზი, დემოგრაფიული და სოციალური ტენდენციების ანალიზი, კავშირების ანალიზი, ბაზრის ანალიზი, დანაშაულებრივი საქმიანობის ანალიზი, რისკის ანალიზი, სუბიექტის ანალიზი, შედეგის ანალიზი, ოპერატიული საქმიანობის შეფასება, საგამოძიებო ანალიზი და სხვა. აღნიშნული ანალიტიკური ტექნიკის გამოყენებით ანალიტიკოსი ასევე უფლებამოსილია, ტაქტიკური/სტრატეგიული შეფასების ანგარიშის გარდა მოამზადოს სხვა ტიპის დოკუმენტი, რომელშიც დაფიქსირებული იქნება რეკომენდაციები კონკრეტული პრობლემის გადასაჭრელად. ტაქტიკური შეფასების ანგარიშის მომზადებისას ანალიტიკოსმა უნდა გამოავლინოს კონკრეტულ არეალში არსებული ის მოკლევადიანი პრობლემები (ცხელი წერტილები, ინციდენტის სერიები, ტენდენციები), აგრეთვე შიდა რესურსებთან დაკავშირებული საკითხები, რომლებზე დაუყოვნებლივი რეაგირებითაც შესაძლებელი იქნება პრობლემის გამწვავების აღკვეთა და ეფექტიანი პრევენციის განხორციელება. ტაქტიკური შეფასების ანგარიში გამოიყენება მიმდინარე ღონისძიებათა დასაგეგმად, ასევე ცვალებადი საჭიროებებისა და გამოკვეთილი პრობლემების შესაბამისად რესურსების ეფექტიანი განაწილებისთვის. სტრატეგიული შეფასების ანგარიში გამოიყენება პოლიტიკის განსაზღვრისა და დაგეგმვისათვის. სტრატეგიული შეფასების ანგარიშის მომზადებისას ანალიტიკოსმა უნდა გამოავლინოს კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალში არსებული გრძელვადიანი პრობლემები, განსაზღვროს პრიორიტეტების/რესურსების გადანაწილების გეგმა და უზრუნველყოს ამ მიზნით ხელმძღვანელობის ინფორმირება. ტაქტიკური/სტრატეგიული შეფასების ანგარიში უნდა ეფუძნებოდეს

სხვადასხვა ღია და ფარული წყაროდან მიღებული ინფორმაციის კვლევასა და ანალიზს.

10. სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს სამმართველოს განყოფილების ანალიტიკოსმა ორ კვირაში ერთხელ მოამზადოს განყოფილების ტაქტიკური შეფასების ანგარიში, რომელსაც ყოველი მესამე კვირის დასაწყისში წარუდგენს განყოფილების უფროსსა და მის მოადგილეებს, ასევე გადაუგზავნის იმ სამმართველოს ანალიტიკოსს, რომელშიც შედის აღნიშნული განყოფილება. სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს სამმართველოს განყოფილებათა ანალიტიკოსების (არსებობის შემთხვევაში) მიერ მომზადებული ანგარიშების ან/და ამ განყოფილებებიდან მიღებული ინფორმაციის შესაბამისად, სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს სამმართველოს ანალიტიკოსმა თვეში ერთხელ მოამზადოს სამმართველოს საერთო ტაქტიკური შეფასების ანგარიში და ყოველი თვის კონკრეტულ დღეს აცნობოს სამმართველოსა და მასში შემავალი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს, ასევე გადაუგზავნოს სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტსა და იმ დეპარტამენტს, რომელშიც შედის აღნიშნული სამმართველო.

11. სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის იმ სტრუქტურული ერთეულის ანალიტიკოსმა (შემდგომში – საპატრულო პოლიციის ანალიტიკოსი), რომლის სამოქმედო ტერიტორია ემთხვევა პირველი პუნქტის „ა“-„გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული სამმართველოების სამოქმედო ტერიტორიას, შემდგომი რეაგირებისთვის უნდა გამოავლინოს ინციდენტის ხასიათისა და მასშტაბის, ერთმანეთთან დაკავშირებული ინციდენტების, ცხელი წერტილების (სადაც მდებარეობს ოპერატიულად საინტერესო ადგილები, სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ობიექტები, ან/და ხშირად აქვს ადგილი დანაშაულის/სამართალდარღვევის ჩადენას, ავტოსაგზაო შემთხვევას, მოძრაობის გადატვირთვას) და ინციდენტში სავარაუდო მონაწილე

პირების საერთო მახასიათებლები და განსაზღვროს არსებული, ახალი ან/და მზარდი პრობლემები, ამასთან, შექმნას საპილოტე დანაყოფის სამოქმედო ტერიტორიის სრულყოფილი სურათი, გააანალიზოს არსებული ვითარება და გამოკვეთოს საპილოტე დანაყოფისათვის აქტუალური პრობლემები, შეაფასოს საპილოტე დანაყოფის ადამიანური და მატერიალური რესურსი და მოამზადოს შესაბამისი რეკომენდაციები საპილოტე დანაყოფის განვითარებისათვის საჭირო ქმედებათა შესახებ, ასევე საჭიროებიდან გამომდინარე შექმნას საპილოტე დანაყოფის სამოქმედო ტერიტორიაზე დაფიქსირებულ ინციდენტში სავარაუდო მონაწილე პირის, პოტენციური დამნაშავეს/სამართალდამრღვევის და მასთან კავშირში მყოფი პირის პროფილი. საპატრულო პოლიციის ანალიტიკოსი ვალდებულია, აღნიშნული ინფორმაციის დამუშავების შედეგად თვეში ერთხელ მოამზადოს შესაბამისი სტრატეგიული შეფასების ანგარიში, წარუდგინოს ხელმძღვანელობას და გადაუგზავნოს სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტს.

11¹. პროგრამის ეფექტიანად განხორციელებისათვის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოებისა და საპატრულო პოლიციის ანალიტიკოსებმა საქმიანობა განახორციელონ მჭიდრო კოორდინაციის პირობებში და უზრუნველყონ მათ ხელთ არსებული ინფორმაციისა და მომზადებული ანგარიშების მიმოცვლა.

12. საპილოტე დანაყოფების ხელმძღვანელებსა და მოსამსახურეებს დაევალოთ ხელი შეუწყონ ანალიტიკოსს საქმიანობის პროცესში, გაუზიარონ ცოდნა და გამოცდილება და საჭიროებიდან გამომდინარე მიაწოდონ ანალიზის წარმოებისათვის აუცილებელი დამატებითი ინფორმაცია.

13. სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურმა დეპარტამენტმა უზრუნველყოს სამინისტროს ერთიან საინფორმაციო-ანალიტიკურ ბანკში არსებულ ინფორმაციაზე ანალიტიკოსთა დაშვება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, პროგრამის მიმდინარეობისას მათი საქმიანობისა და „ePolice“-ის მუშაობის ეფექტიანობის პერიოდული შეფასება და მონიტორინგი, აგრეთვე ანალიზზე დაფუძნებული საქმიანობის დასანერგად სხვა

მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელება. ანალიტიკოსთა მიერ წარდგენილ ანგარიშებსა და მათ ხელთ არსებულ სხვა ინფორმაციაზე დაყრდნობით სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურმა დეპარტამენტმა სამუშაო ჯგუფთან კოორდინაციის პირობებში განახორციელოს ეროვნულ დონეზე სტრატეგიული შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავებისთვის აუცილებელი ღონისძიებები. სტრატეგიული შეფასების შედეგად სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურმა დეპარტამენტმა განსაზღვროს საპოლიციო საქმიანობის მართვის სტრატეგიის პრიორიტეტები და გასცეს რეკომენდაციები საპოლიციო საქმიანობის ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე დაგეგმვის შესახებ.

14. პროგრამული უზრუნველყოფის მიზნით სამინისტროს ეკონომიკურ დეპარტამენტს დაევალოს 2016 წლის 1 ოქტომბრამდე უზრუნველყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ მოთხოვნილი მახასიათებლების მქონე მონაცემთა დამუშავების ანალიტიკური კომპიუტერული პროგრამისა და 100 ცალი პორტატული პლანშეტური კომპიუტერის შესყიდვა.

15. სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - „112“-ს დაევალოს საპილოტე დანაყოფებთან კოორდინირებულად მუშაობა და პროექტის განხორციელების მიზნებიდან გამომდინარე საპილოტე დანაყოფების ანალიტიკოსების საგანგებო და გადაუდებელი დახმარების აუცილებლობის შემთხვევათა მართვის ელექტრონულ სისტემასთან დაშვების უზრუნველყოფა.

16. სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიამ სამუშაო ჯგუფთან და სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტთან ერთად უზრუნველყოს საპილოტე პროგრამის შეფასების შედეგად ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის შესახებ მოსამსახურეთა მომზადებისათვის შესაბამისი სასაწავლო მოდულის შემუშავება, მისი სწავლების პროცესში დანერგვა და მოსამსახურეთა ეტაპობრივი გადამზადება.

17. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ეთხოვოს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკურ სააგენტოს "ePolice"-ის პროგრამული უზრუნველყოფის ფუნქციონირებისათვის საჭირო ტექნოლოგიების ეტაპობრივად სრული გადაცემა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტისათვის, რომელმაც თავის მხრივ უზრუნველყოს "ePolice"-ის ფუნქციონირების უზრუნველყოფა და შემდგომი განვითარება პროგრამის მიმდინარეობის დასრულებამდე.

18. სამუშაო ჯგუფს დაევალოს:

ა) "ePolice"-ში მოსამსახურეთა მიერ ამ ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად ინფორმაციის შეყვანის პერიოდული მონიტორინგი;

ბ) საპილოტე დანაყოფის მოსამსახურეთათვის საპილოტე პროგრამით გათვალისწინებული მოვალეობების შესრულებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით შესაბამისი ინსტრუქტაჟის ჩატარება;

გ) საპილოტე დანაყოფების ანალიტიკოსების პერიოდული საერთო შეხვედრების ორგანიზება და საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი პრობლემებისა და საჭიროებების განხილვა;

დ) პროგრამის საერთო მიმდინარეობის შეფასებისა და მონიტორინგის განახორციელების მიზნით საქმიანობის შედეგების პერიოდული შეჯამება და გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;

ე) პროგრამის მიმდინარეობის დასრულებიდან ერთ თვეში პროგრამის მიმდინარეობის შესახებ დასკვნის მომზადება და ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის მოდელის სრულად დასანერგად შემდგომი სამოქმედო გეგმის შემუშავება;

ვ) სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტთან კოორდინაციით უზრუნველყოს საპილოტე პროგრამაში

სამინისტროს სხვა ტერიტორიული ორგანოების ჩართვისათვის აუცილებელი მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელება.

19. ბრძანება გაეცნოს დაინტერესებულ პირებს.

20. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

მინისტრი
მღებრიშვილი

გიორგი